



**შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“  
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი**




**მარნეული  
2022**

## მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიას, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესს, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესებს.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამა) უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების დარგის სპეციალისტის/პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის ანალიზს.

1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება ხდება დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესების ციკლის შესაბამისად:



## მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ.

2.2. მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას.

2.3. პროგრამის დამატების ინიცირებას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

2.4. აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების თაობაზე, რის შესახებაც გამოსცემს ბრძანებას და ქმნის სამუშაო ჯგუფს პროგრამის შემუშავების მიზნით.

2.5. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის: დარგის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შესაძლებელია, ჯგუფში შედიოდეს დამსაქმებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა.

2.6. სამუშაო ჯგუფის მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ეფუძნება სასწავლო რესურსების მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკის ობიექტების, საბიბლიოთეკო, ადამიანური, ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი მიმართულების სხვა მონაცემებს.

- 2.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური) შემუშავების საფუძველია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი.
- 2.8. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითად დოკუმენტს (ადაპტირებული ჩარჩო დოკუმენტი) და მის დანართებს;
- 2.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის მთლიან პაკეტს (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) შეფასებისთვის/დასკვნისთვის გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 2.10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შემუშავების პროცესში თანამშრომლობს სამუშაო ჯგუფთან.
- 2.11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესაბამისი რეკომენდაციებითა და შენიშვნებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფს შემდგომი რეაგირებისთვის ან წარდგინების საფუძველზე გადასცემს დირექტორს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისათვის.
- 2.12. დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის უფლების მოპოვების მიზნით კოლეჯი შესაბამის განაცხადს წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

### **მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია**

- 3.1. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.
- 3.2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.
- 3.3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით.
- 3.4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.
- 3.5. დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
- 3.6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A, B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება.
- 3.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.
- 3.8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.
- 3.9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის 3.7. და 3.8. პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს.
- 3.10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.
- 3.11. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

## მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტი

4.1. ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების შემდგომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდამოიცავდეს ინფორმაციას:

- 4.1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- 4.1.2. სარეგისტრაციო ნომერი;
- 4.1.3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- 4.1.4. პროგრამის მიზანი;
- 4.1.5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (რომელიც ეყრდნობა ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაძლოა ეს იყოს განათლების დონე (საბაზო/სრული ზოგადი) ან პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა დამატებითი მოთხოვნები)
- 4.1.6. დასაქმების შესაძლებლობები;
- 4.1.7. სტრუქტურა და მოდულები: (ინფორმაცია პროგრამის ხანგრძლივობისა და მოცულობის (კრედიტები) შესახებ ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე)
- 4.1.8. ინფორმაციას პროგრამის ხანგრძლივობისა და მოცულობის (კრედიტები, თვეები) შესახებ ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე.
- 4.1.9. პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მოდულებს;
- 4.1.10. სწავლის შედეგები კურსდამთავრებულთათვის;
- 4.1.11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება;
- 4.1.12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები;
- 4.1.13. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველსაყოფად.

4.2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტს (ადაპტირებული ჩარჩო დოკუმენტი) თან ახლავს შემდეგი დანართები:

- 4.2.1. მოდულები;
- 4.2.2. სასწავლო გეგმა, მათ შორის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის გაწერილი;
- 4.2.3. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- 4.2.4. ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი კოლეჯის ბაზაზე არსებული ან/და მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლის მიზნით ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსის შესახებ;
- 4.2.5. პრაქტიკის ობიექტებთან/პარტნიორ ორგანიზაციებთან ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება.

4.3. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის სავალდებულოა ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულების გავლა.

4.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სავალდებულო ზოგად და პროფესიულ მოდულებს. მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.

4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს.

4.6. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ, ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული. კოლეჯს შეუძლია საერთოდ არ გაითვალისწინოს არჩევითი მოდულები, თუ ჩარჩო დოკუმენტი არ ითხოვს მის აუცილებლად გათვალისწინებას.

4.7. არჩევითი მოდული ისე უნდა შეირჩეს, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შექმნა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პროფესიული განვითარების, დასაქმებისა (პერსპექტივების გაზრდისთვის) თუ თვითდასაქმებისათვის.

4.8. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.

4.9. იმ შემთხვევაში, თუ მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის, აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.

4.10. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.

4.11. ქართული ენის მოდულები წარმოადგენს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ აუცილებელ ნაწილს. ქართული ენის მოდულები შექმნილია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის და საშუალებას იძლევა, გაიზარდოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. ქართული ენის მოდულებს პირი გადის იმ შემთხვევაში, თუ ის ერთიან პროფესიულ ტესტირებას აბარებს სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზე. არაქართულად ტესტირებაგავლილი აპლიკანტის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემდეგ, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის ქართული ენის მოდულების გავლას კურაციული წესით, ხოლო შემდეგ, სპეციალობის მოდულების განხორციელებას.

## **მუხლი 5. მოდულის ადაპტირება**

5.1. ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების შემდეგ ხორციელდება მასში შემავალი თითოეული მოდულის ადაპტირებაც.

5.2. მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტს და მტკიცდება მასთან ერთად. მოდულში ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიცემა აქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შესაბამის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

5.3. როგორც პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ასევე მოდულებს სავალდებულოა გაუკეთდეს თავფურცელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N--), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მოდულის სტატუსი) და მიეთითოს პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დანართებად.

5.4. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

5.5. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია.

5.6. სტანდარტულ ჩანაწერებში შეუსაბამოებების აღმოჩენის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს;

5.7. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სასწავლო თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, მტკიცებულებების შეგროვებისა და მოდულის განხორციელების მიდგომები, საათების გადანაწილების სქემა.

5.8. საათების განაწილების სქემაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. თუმცა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საათების გადანაწილების სქემაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება საბოლოო ჯამში უნდა დარჩეს, ისე, როგორც მოდულშია.

5.9. მოდულში შესაძლებელია მიეთითოს განხორციელების ადგილი ან ადგილები, აუდიტორია. კოლეჯში განხორციელების შემთხვევაში - კოლეჯის დასახელება, მისამართი, აუდიტორიის ნომერი, გარემო (A, B, C), ხოლო საწარმოში განხორციელების შემთხვევაში - პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი.

5.10. არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში იქნეს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.

5.11. საგანმანათლებლო რესურსი უნდა შეირჩეს კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდების/ელექტრონული მატარებლების, არსებული ლიტერატურის, კონსპექტების, ვებ-გვერდებისა და სხვა წყაროების გათვალისწინებით, რასაც კოლეჯი გამოიყენებს სწავლების პროცესში და რომლებიც პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

5.12. მოდული უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში,



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

## **მუხლი 6. სასწავლო გეგმა**

- 6.1. ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირების შემდეგ, კოლეჯი შეიმუშავებს სასწავლო გეგმას.
- 6.2. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
- 6.3. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულების გარეშე და სასწავლო გეგმას „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულებისათვის.
- 6.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიცვლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაც.
- 6.5. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.
- 6.6. კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, თუმცა პროგრამის/მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით კვირული დატვირთვა შესაძლებელია იყოს 30-ზე ნაკლები. მოდულში მოცემული საათები (1 კრედიტი უდრის 25 საათს) წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვას.

## **მუხლი 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

- 7.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიულ გადამზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
- 7.2. ინდივიდუალურის სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.
- 7.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის ან მსმენელის/მსმენელებისათვის.
- 7.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტი/ მსმენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და აწვდის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის.
- 7.5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- 7.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და კოლეჯის რეგულაციებთან.
- 7.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების/შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს მითითებული რეკომენდაციების/შენიშვნების გასათვალისწინებლად.
- 7.8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.
- 7.9. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი; მოდულის/მოდულების დასახელება; მოდულზე დაშვების წინაპირობა; კრედიტების რაოდენობა; სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და კრედიტების გადანაწილება აღნიშნულ პერიოდზე; შეფასების ფორმები და პირობები; მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები და სხვა.
- 7.10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია. მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამისი მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.

7.11.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს კოლეჯში შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

## **მუხლი 8. პროფესიული განათლების მასწავლებელი**

- 8.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.
- 8.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
- 8.3. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ჰყავს კოლეჯის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები.
- 8.4. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგინდეს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის დამატებითი მოთხოვნები.
- 8.5. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.
- 8.6. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებია:
  - 8.6.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
  - 8.6.2. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;
  - 8.6.3. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;
  - 8.6.4. პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე;
  - 8.6.5. შეფასების ინსტრუმენტების შეგროვების უზრუნველყოფა, აღნიშნული მტკიცებულებების პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში მოთავსება და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის გადაცემა მოდულის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
  - 8.6.6. კოლეჯის დირექტორის ინფორმირება იმ სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების შესახებ, რომელიც/რომლებიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს/აღწევენ სწავლის შედეგების დადასტურებას;
  - 8.6.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, მოდიფიცირებასა და დანერგვაში მონაწილეობა;
  - 8.6.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დაწყებამდე 15 დღით ადრე მოდულის განხორციელების კალენდარული გეგმის, შეფასების ინსტრუმენტისა და მოდულის განხორციელებისათვის საჭირო შესაძენი ნედლეულისა და მასალის ჩამონათვალის წარდგენა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის.
- 8.7. კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.

## **მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი**

9.1.კოლეჯის მიერ განხორციელებად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

9.2.პროგრამას, თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი.

9.3.ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ორზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას;

9.4.პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

9.4.1. დარგის/მიმართულების შესაბამისი აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაცია.

9.4.2.დარგის/მიმართულების შესაბამისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

9.5.პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიულ განათლების მასწავლებელთან ან/და დამსაქმებელთან ერთად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, დანერგვასა და მოდიფიცირებაში, პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში. მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში.

9.6.პროგრამის ხელმძღვანელი არის ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში, პროგრამის სრულყოფის მიზნით ეცნობა შედეგებს, რეაგირებს მასზე, აანალიზებს და აფასებს მათ.

## **მუხლი 10. ინვენტარი, აღჭურვილობა**

10.1.A და B გარემოს ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული იდენტურია ყველა მოდულისა და ყველა პროგრამისათვის.

10.2.C გარემოსათვის განსაზღვრული ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული ინდივიდუალური თითოეული მოდულისათვის. პროგრამა მოიცავს კოლეჯის ბაზაზე პროგრამის განხორციელებისთვის არსებული ან/და მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტების გავლის მიზნით ხელმისაწვდომ მატერიალური რესურსის შესახებ ჩამონათვალს, რომელიც შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის დანართის საფუძველზე.

10.3.შესამუშავებელი პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელ აღჭურვილობასა და გარემოს კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო ფორმირებამდე, კოლეჯის დირექტორის წინაშე დასამტკიცებლად წარდგენამდე, ხოლო მასალა და ნედლეული შექმნილი უნდა იქნეს საჭიროებისამებრ, პროგრამის ავტორიზაციის შემდგომ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

## **მუხლი 11. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები**

11.1. პროგრამის ნებისმიერი მიდგომით განხორციელების შემთხვევაში კოლეჯი დებს ხელშეკრულებას:

11.1.1.პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების გავლას;

11.1.2.პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომ განათლებას იმავე ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

11.2. იმ შემთხვევაში თუ მსგავს პროფესიულ პროგრამას არ ახორციელებს არც ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

11.3. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხდება პარტიორი ორგანიზაციის მოძიება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესი ყველა აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტით .

11.4. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს, სწავლება უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ ხელშეკრულებით, რომელიც უნდა მოიცავდეს:

11.4.1.უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს;

11.4.2.მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას;

11.4.3.მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სტუდენტთა სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების



მქონე კვალიფიური პერსონალი. შესაძლოა პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით მათ მიმართ წამოყენებული იყოს განსკუთრებული მოთხოვნები.

## მუხლი 12. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი

12.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა. ამისათვის კოლეჯში დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

12.2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

12.3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელსაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

12.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

12.5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

12.6. წარდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე მუშავდება არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზები, სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების განვითარება და სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.


## მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი

13.1. კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

13.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას.

13.3. დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ.

PDCA მიდგომას:



აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი იმ

**P – Plan - დაგეგმე** - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);

**D – Do - განახორციელებ** - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

**C – Check - შეამოწმე** - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;

**A – Act - განავითარე** - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების

განსაზღვრას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნების და რეკომენდაციების წარდგენას დირექტორისათვის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

13.4. შეფასება ხორციელდება 1 წლის განმავლობაში ერთხელ, თუ პროგრამა საშუალოდ 1-წლიანია; თუ პროგრამა ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობისაა, შეფასება ხორციელდება ყოველ წელს;

13.5. პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიუებით.

13.6. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

13.7. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე.

13.8. კვლევების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

13.9. კოლეჯის დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

13.10. პროგრამის შეფასების შედეგები აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმაში.

N	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება			შეფასებისას გამოყენებული მტკიცებულებები	შენიშვნა
		დიახ/აკმაყოფილებს	ნაწილობრივ/ნაწილობრივ აკმაყოფილებს	არა/არ აკმაყოფილებს		
1	პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით					
2	პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია					
3	საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტორნული სახით ან					

	კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში					
4	სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად					
5	პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად					
6	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით					
7	უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე					
8	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას					
9	პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახო რციელებელ დაწესებულებასთან ურთიერთთანამშრომლობ ა უზრუნველყოფილია					
10	პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები					
11	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით					

12	პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური					
13	პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაცია					
14	უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა					
15	პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.					

#### **მუხლი 14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი**

14.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/მოდიფიცირება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული საწარმოს ინიცირების, მოდულის განმახორციელებლების და სხვა გარემოებების საფუძველზე.

14.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს.

14.3. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

14.4. კოლეჯის მიერ საავტორიზაციო პერიოდში განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ აცნობოს ცენტრს და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

14.5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ.

14.6. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განხორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია აცნობოს ცენტრს

#### **მუხლი 15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება**

15.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს ადამიანური რესურსის სიმცირე, აპლიკანტების მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, პროგრამის განხორციელებისას გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვ.

15.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, იღებს კოლეჯის დირექტორი.

15.3. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება ცენტრს.

15.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისთვის შეთავაზებული მექანიზმები გაწერილი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.



